ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №80

11 ოქტომბერი 2024 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
11:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, თამარ ჩახვაშვილი, ავთანდილ ცინცაძე, აკაკი ალადაშვილი,ირაკლი ნადირაძე.
მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახური- ლევან მიქავა
სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.
დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
   №11-01242843020 საკრ.№15-03242851-03 (10/10/24)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

ლევან მიქავას მოხსენებით, თბილისის მასშტაბით რკინა ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის მიზნით, ინფრასტრქუტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მოთხოვნით, იზრდება პროგრამის „საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია“ (პროგ/კოდი 02 01) წლიური ასიგნება - 170 000 ლარით. მცირდება: პროგრამის „საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები“ (პროგ/კოდი 02 03 01) წლიური ასიგენება - 125 000 ლარით და პროგრამის „გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“ (პროგ/კოდი 02 05) წლიური ასიგნება- 45 000 ლარით.

მომხრე- 7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრქუტურის განვითარების საქალაქო სამსახური ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთა უმრავლესობამ გადაწყვიტეს: “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**